ჭიათურელთა თაოსნობა მოწონებულია!
მხარი დავუჭიროთ ამ სამაგალითო პატრიოტულ ინიციატივას!
გავშალოთ წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 255 (13340) | ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა არქიჯექჯორების IV სრულიად საკავშირო ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან საბჭოთა არქიტექტორების მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობის მონაწილეებსა და თქვენი სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ხუროთმოძღვარს.

პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ არქიტექტორთა და მშენებელთა შემოქმედებითს შრომას. მარტო შვიდწლედის წლების მანძილზე აიგო ხუთი ათას ხუთასზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო. დიდი მასშტაბებით წარმოებს საბინაო მშენებლობა. ახლა ჩვენში ერთ წელიწადში შენდება იმდენივე ბინა, რამდენიც აიგო მთელი რვა ომამდელი წლის განმავლობაში.

ამ წარმატებებს მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საბჭოთა არქიტექტურის ახალი პროგრესული მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უდევს მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია. დაპროექტებული შენობები და ნაგებობანი სულ უფრო სრულად აკმაყოფილებენ თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს, მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და კულტურის მოთხოვნილებებს. მშენებლობის ფართო გაქანება, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება, საბჭოთა საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებანი საჭიროდ ხდიან არქიტექტორთა შემოქმედებითი ძალებისა და ტალანტების შემდგომ მობილიზაციას ჩვენი ხალხის შესაფერი ახალ-ახალი საქმეების განსახორციელებლად. ქალაქებისა და სოფლების, შენობათა და ნაგებობათა მოხერხებულობა, სილამაზე, რაციონალური დაგეგმარება, სისადავე და მხატვრული გამომსახველობა არქიტექტურული ფორმებისა, რომლებიც ორგანულად დაკავშირებულია კონსტრუქციებთან, მასალებთან და მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებთან, ეკონომიურობა უნდა გახდეს საბჭოთა არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები.

საბჭოთა არქიტექტორების, მეცნიერების, ინჟინრების, მშენებლებისა და ხალხ მასალათა მრეწველობის უსაფრთხესი მოვალეობაა მკვეთრად გაუმჯობესონ არქიტექტურისა და მშენებლობის ხარისხი.

არქიტექტორები განსაკუთრებით უნდა ზრუნავდნენ მასობრივი სახლნათ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხარისხისათვის, ტიპური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურის სრულყოფისათვის, ბინების დაგეგმარების გაუმჯობესებისა და მათი კეთილმოწყობისათვის. ახალი მასალებისა და კონსტრუქციების წარმოების განვითარება დიდ შესაძლებლობებს იძლევა, რომ ვაშენოთ ლამაზი თანამედროვე შენობები და ნაგებობანი. ხუროთმოძღვრები მოწოდებული არიან შექმნან საცხოვრებელი რაიონების გამომსახველი არქიტექტურული ანსამბლები, რისთვისაც შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ ტიპური საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობაში სხვადასხვა საგეგმო გადაწყვეტა, გამოიყენონ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეროვნული ტრადიციები.

უნდა ავამაღლოთ არქიტექტურის მხატვრულ-იდეოლოგიური მნიშვნელობა, მეტი ყურადღება დავუთმოთ არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზის საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრებაში არქიტექტურის იდეურ-აღმზრდელობითი როლის გაძლიერებას.

საწარმოთა დაპროექტების დროს უნდა ვეცადოთ შევქმნათ საძრეწველო კვანძები და კომპლექსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას, უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ საწარმო შენობების ყველაზე რაციონალურ არქიტექტურულ გადაწყვეტას, ამასთან გავითვალისწინოთ მოთხოვნები ტექნიკური ესთეტიკისა, რომელიც ხელს უწყობს შრომის პირობების გაუმჯობესებას და მისი ნაყოფიერების გადიდებას.

სოფლის მშენებლები არქიტექტორებისაგან მოელიან საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების ეკონომიურ ტიპურ პროექტებს, რომელებშიც გათვალისწინებული იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მოსახლეობის ყოფაცხოვრების სპეციფიკა, ადგილობრივი საშენი მასალების მაქსიმალური გამოყენება.

სრულყოფთ რა დაპროექტებას, საჭირო გავადიდოთ თვითეული არქიტექტორის პირადი პასუხისმგებლობა კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის, მშენებლობათა დროულად უზრუნველყოფისათვის მაღალხარისხოვანი პროექტებით და რეზერვების უფრო სრული რეალიზაციისათვის მშენებლობის ყველა დარგში. საჭიროა, რომ ტიპური პროექტების შექმნაში მონაწილეობდნენ არქიტექტურის წამყვანი, ყველაზე გამოცდილი და ნიჭიერი ოსტატები.

საბჭოთა ხუროთმოძღვრების აქტუალური პრობლემების შემდგომი დამუშავება მოითხოვს არქიტექტურის თეორიის ყოველმხრივ განვითარებას. მეცნიერება მოწოდებულია საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე დასახოს არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკის პროგრესის გზები.

საბჭოთა ხუროთმოძღვრების შემოქმედებითს საქმიანობას დიდი სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. არქიტექტორებმა თავიანთ მუშაობაში უფრო სრულად უნდა გამოიყენონ უპირატესობანი სოციალისტური სისტემისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს საბჭოთა ქალაქშენებლობის ამოცანები გადავწყვეტთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების პერსპექტივების, საძრეწველო და საცხოვრებელი ზონების ყველაზე მიზანშეწონილად განლაგების გათვალისწინებით და ამით ცხოვრების საუკეთესო პირობები შევუქმნათ მოსახლეობას. არქიტექტორების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბევრად დამოკიდებულია სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მუშაობაზე. კავშირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი მიზანდასახულობის ფორმირებას, ჩვენი ხუროთმოძღვრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, მზრუნველობით ზრდიდეს არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრებს, ხელს უწყობდეს მათ იდეურ და შემოქმედებით ზრდას. არქიტექტორთა კავშირის საქმიანობის მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება სწრაფად დანერგოს პრაქტიკაში ყოველივე მოწინავე, პროგრესული, რაც იქმნება მეცნიერთა, დამპროექტებელთა და მშენებელთა შრომით, შექმნას არქიტექტურა, რომელიც შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებს და გამოხატავს კომუნიზმისათვის მისი ბრძოლის სიდიადეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო არქიტექტორთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობას უსურვებენ ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა არქიტექტორები ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ავამაღლოთ ახალგაზრდობაში
იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ღონე

27 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხზე.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, იდეოლოგიური ორგანიზაციების, პედაგოგიური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ო. ჩერქეზიამ**, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. **ლ. ლაშქარაშვილმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ამხ. **გ. ჯიბლაძემ.**

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. **კ. ცქიტიშვილი**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ამხ. **ი. აბაშიძე**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ხვარცია**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ამხ. **ო. თაქთაქიშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ამხ. **გ. ბანძელაძე**, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **ვ. შადური**, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ამხ. **ი. ურუშაძე**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. **ო. სტეპჩენკო**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **პ. გუგუშვილი.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ეკონომიკური კარიდიატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. მჟავანაძემ.** (საქდესი).

არქიტექტორთა IV ყრილობა

27 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა არქიტექტორთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 500 დელეგატი — ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. აქ არიან ცნობილი ხუროთმოძღვრები და ახალგაზრდები, რომლებიც ახლახან დაადგნენ, ქალაქთმშენებლობის გზას. დარბაზში არიან სტუმრები—მეცნიერები, მშენებელი ინჟინრები, მხატვრები, მწერლები და-სხვები.

ყრილობა გახსნა უხუცესმა საბჭოთა ხუროთმოძღვარმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გ. გელფრეიხმა.

დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. რუდაკოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ყრილობისადმი. მისალმებას დამსწრენი შეხვდნენ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. ორლოვმა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის ინიციატივის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ინიციატივა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა მხურვალედ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებანი, რომლებიც ამ პლენუმმა დასახა.

ამ დღეებში პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის" ინიციატივით მაღაროელთა ქალაქში გაიმართა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრება.

ტრესტის კოლექტივმა შეაჯამა მიმდინარე წლის 9 თვის მუშაობის შედეგები, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა გადიდებული ვალდებულებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად. ტრესტის კოლექტივმა რესპუბლიკის მრეწველობის ყველა მშრომელს მოუწოდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის მომავალ ყრილობათა ღირსეულად შესვედრისათვის. ჭიათურელ მაღაროელთა ვალდებულებანი გამოქვეყნებულია 21 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებსურჩია მხარი დაუჭირონ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის მიმართვას, რომელმაც გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა, და ფართოდ გაშალონ შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქდესი).

ჭიათურის მაღაროელთა პატრიოტულ ინიციატივას — ვაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის, დღითიდღე მეტი მხარდამჭერი სამრეწველო საწარმო, საამქრო, ბრიგადა და კომუნისტური შრომის დამკვრელი ემატება.

ამ სურათზე ასახულია თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კომუნისტი შეფოლადე ვალერიან ლუტიძე, საწარმოს კოლექტივმა 9 თვის საერთო პროდუქციის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მრავალი ათასი მანეთის სხმელი მისცა. ამ წარმატებაში ვ. ლუტიძესაც მიუძღვის წვლილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებს.

ჭიათურელთა ინიციატივის საპასუხოდ მან იკისრა კიდევ უფრო გაუმჯობესოს სხმულის ხარისხი, გაზარდოს დღიური ნორმის შესრულების პროცენტი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შრომითს ვახტზე

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაპაძე

თბილისი,

1965 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაპაძე

თბილისი,

1965 წლის 27 ოქტომბერი.

საღ როგორ მიმდინარეობს ყურძნის დამზადება

26 ოქტომბრის ცნობებით (ტონობით)

რაიონები	გეგმა	შესრულება
გურჯაანის	37.796	48.600
თელავის	24.395	26.100
ზესტაფონის	17.086	11.664
ყვარლის	14.590	16.700
სიღნაღის	11.450	13.300
თარჯოლის	9.910	6.700
მაიაკოვსკის	9.790	4.900
ახმეტის	8.790	9.389
საგარეჯოს	6.860	8.960
ვანის	6.750	4.600
ბოლნისის	6.070	5.870
ორჯონიკიძის	5.720	3.800
კასპის	5.635	5.680
სარეხეროს	5.350	3.400
ბაღდათის	5.065	6.000
წითელწყაროს	5.060	6.700
მარნეულის	4.558	5.880
ცაგერის	4.540	539
ამბროლაურის	4.395	3.100
ბორის	4.166	2.176
მცხეთის	3.820	6.026
წყალტუბოს	3.260	1.115
ჭიათურის	2.430	1.400
ლაგოდეხის	2.380	2.130
ხაშურის	2.210	1.490

26 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებული იყო 213.600 ტონა ყურძენი.

გეგმის შესასრულებლად დასამზადებელია 16.400 ტონა.

მხარს უჭერენ

ზუგდიდი. (საკ. კორ). ზუგდიდის ბამბის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ჭიათურელთა ინიციატივას და ჩაებნენ სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათი გადაწყვეტილებაა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის. ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმა — 25 მარტისათვის.

ფეიქრებმა ცხრა თვეში გადაამარხვინეს შეასრულეს ბამბის, შალისა და ბრეშმის ქსოვილების გამოშვების გეგმები. შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გაუძჯობესდა სასაქონლო პროდუქციის ხარისხი. სამივე კვარტალში გადაჭარბებით იქნა შესრულებული პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებანი.

ზუგდიდელი ფეიქრები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. მომავალ სამეურნეო წელს უნდა ითვისონ ტრიკოტაჟის წარმოება, რომ გამოუშვან როგორც სუფთა, ისე ნახევრადმალის ნაწარმი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. ამ მიზნით ასამდე ნახევრადავტომატური ბრტყელი საქსოვი დაზგა დამონტაჟდება.

გურჯაანელთა ახალი გამარჯვება
არის 50.100 ტონა ყურძენი

საუბარი საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანთან ბ. აზაურაშვილთან

გურჯაანელმა მევენახეებმა კარგა ხანია შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმაც, ვალდებულებაც, მაგრამ შესანიშნავად მოვლილ ზვრებში არ ილევა ვაზის ბარაქა. და აი გუშინ მევენახეებმა ახალი წარმატება მოიპოვეს — მოკრეფილია 50.100 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.796 ტონისა.

მევენახეთა ამ გამარჯვებაში საპატიო წვლილი შეიტანეს ველისციხის, ვაზისუბნის, გურჯაანის კოლმეურნეობებმა, მუკუზნის, კარდანახისა და შრომის საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონის მოსახლეობამ.

რთველი კვლავ გრძელდება. გურჯაანელ მევენახეთა ახალი ვალდებულებაა სამშობლოს დამატებით კიდევ მისცენ 5.000 ტონამდე ყურძენი. ეს მათი საოქტომბრო და წინასაყრილობო საჩუქარი იქნება.

გურჯაანის რაიონის მევენახეთა დიდ გამარჯვებაში საპატიო წვლილი შეიტანეს ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მეზვრეებმა. მათ ყურძნის უხვი მოსავალი დაუღალავი შრომით, აგროწესების ზუსტად დაცვით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით მიიღეს.

სურათზე: რთველი გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის ზვრებში. წინა პლანზე (მარცხნიდან მეორე) ბრიგადირი ა. შოშიაშვილი და მევენახე გ. ფარაზიშვილი ამოწმენდენ ყურძნის ხარისხს.

ფოტო ს. კილაძისა.

მეგობრობის, გულითადობის ვითარებაში
მეხვედრეები გულგარეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელთა საურბები ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებთან. საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

ბულგარეთის მხრივ მონაწილეობდნენ ამხანაგები ტოდორ ჟივკოვი, ივიკო ჟივკოვი, ბოიან ბილგარანოვი, სტანკო ტოდოროვი, ტანო ცოლოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სტოიან კარაჯოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის და ბულგარეთის მთავრობის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ორივე ქვეყანაში, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა განუწყვეტლივ ვითარდება და მტკიცდება.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს აღინიშნა სრული ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის და ბულგარეთის მთავრობების შეხედულებებში თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის შეფასებაში, აგრეთვე ის, რომ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების და ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და მოძმე პარტიების . მიერ კოლექტიურად შემუშავებული დოკუმენტების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრებმა და საუბრებმა ძმური მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

26 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სახალხოში საუზმე გამართეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი მოღვაწეების ამხანაგების ივიკო ჟივკოვის, ბოიან ბილგარანოვის, სტანკო ტოდოროვის, ტანო ცოლოვის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. ანდროპოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ა. ბაიბაკოვი, ბ. ე. დემიჩევი, ვ. ა. კირილინი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმეზე იყვნენ აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სტოიან კარაჯოვი და საელჩოს თანამშრომლები.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საუზმემ გულითად ვითარებაში ჩაიარა.

27 ოქტომბერს სამშობლოში გაემგზავრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ივიკო ჟივკოვი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბოიან ბილგარანოვი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სტანკო ტოდოროვი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტანო ცოლოვი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში იყვნენ მეგობრული ვიზიტით.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები გაეცალნენ ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ვორონოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა, ი. ვ. ანდროპოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

საშემოდგომო თესვა და პარტიული ორგანიზაცია

ა. გონაშვილი,
საქართველოს კპ ჯითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კოლმეურნეები თავდადებით იბრძვიან, ოთა დროზე და უდანაკარგოდ დაამბინონ წლევანდელი უხვი მოსავალი. ამასთან ერთად ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით ჩაატარონ საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანია, საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომმა ჯერ კიდევ პუტრეულის მოსავლის აღების ცხოელ დღეებში იმსჯელა საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის ძალების საკითხზე, დაისახა სათანადო ღონისძიება, ამის შედეგად რაიონის კოლმეურნეობებში დროულად შესრულდა თესვისწინა საძუშაოები: ნიადაგის გასუფთავება, ხვნა, ფარცხა. ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა, გაითვალისწინეს წინა წლებში ხვნა-თესვაში არსებული ხარვეზები და წელს მნიშვნელოვნად გაუუჯობესეს ნიადაგის დამუშავების კულტურა. რაიონის პარტიული რეგანიზაციების, სოფლის მეურნეობის საამართველოს ნაყოფიერი ხელმძღვანელობით და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ახლა საშემოდგომო თესვა რაიონში ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ყველგან ხვნის წინ ნაკვეთებში შეტანილ იქნა მინერალური სასუქები. ამ საქმეში კოლმეურნეობებს პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საწარმოო საამართველოს სპეციალისტები. ბევრი რჩეული ადგილებზე ნიადაგის წინასწარ შესწავლის შემდეგ ხდება სასუქების შეტანა.

წელს არახელსაყრელი ამინდების შედეგად მიღებულმა დაბალმა მოსავალმა განაპირობა აგრეთვე თესლის ნაკლებობა და მისი დაბალი ხარისხი. პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და სოფლის მეურნეობის საამართველომ კოლმეურნეობათა პირველად პარტორგანიზაციებთან და გამგეობებთან ერთად მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები განახორციელეს არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად. აქედან ყველა კოლმეურნეობას საკმაოდ აქვს კონდიციური თესლი.

რაიონის კოლმეურნეობები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის საქმეს. ჩვენმა მშრომელებმა ,,ეარგად იციან, რომ ვერც ერთი შემდგომი აგროტექნიკური ღონისძიება ვერ ანაზღაურებს იმ დანაკლისს, რაც უხარისხოდ თესვის შედეგად შეიძლება მოხდეს. ამიტომ მთელი ყურადღება იქნა-კენ არის მიმართული, რომ საშემოდგომო თესვა აგროტექნიკურ ვადებში დავამთავროთ.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს 29.910 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ. 25 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 23.846 ჰექტარი.

ამ დიდი და საპატიო დავალების შესასრულებლად შერჩეული არიან გამოცდილი მექანიზატორები, რომლებიც მოწინავეთა გამოცდილებას ფართოდ ნერგავენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. წელს განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება თესვის ისეთ პროგრესულ ფორდებზე, როგორიც არის ვიეროფმწყოვიანი სათესებით ჯვარედინად თესვა. ჯვარედინად თესვის პრაქტიკა მტკიცედ დაძკვიდრდა ჩვენს საქმიანობაში. ამ წესით თესვა შედარებით მთელი რიგი უპირატესობით ხასიათდება: დასათესი ნიადაგის ფართობზე ხდება თესლის თანაბარი განაწილება, რაც უზრუნველყოფს ფესვთა სისტემის სწრაფ განვითარებას, მცენარის ნორმალურ აღმოცენებას, ნაბარტყის კარგ განვითარებას და რაც მთავარია, დაქარვისაგან იცავს ნათესებს.

თესვის მაღალხარისხოვნად წარმოების საქმეში წარმატებებია მოპოვებული ცალკეულ კოლმეურნეობებში. სოფელ გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა გეგმით საშემოდგომოდ 1.400 ჰექტარი ხორბალი და ქერი უნდა დათესონ, ეს დაეალება უკვე განადღებულია. ზემომაჩხაანელი ს. გოგილაშვილი, გამარჯვებელი .ვ. ფიროსმანაშვილი, ჯაფარიძელი ვ. ტოლეიკაშვილი, ზემოქვედელი ვ. ბუნტური და სხვები, რომლებიც თესვის ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებებიც. ზოგჯერ თესვის ნორმალურად მიმდინარეობას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ნაკლებობა და სათადარიგო ნაწილების უკმარობა. კარგი იქნება, თუ „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანება რაიონულ გახყოფილებას დროზე მომამზადებს იარაღ-მანქანებთა და სათადარიგო ნაწილებით. განსაკუთრებით საჭიროა სატკეპნი მანქანების მოწყობილობა, ურომლისოდაც ხარისხიანად თესვაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის საამართველო, კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და გამგეობები, სპეციალისტები, მანდატრის მშრომელებთან ერთად საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ხვნა-თესვის საქმეში ჯერ კიდევ არსებული ცალკეული ნაკლოვანებანი და აგროტექნიკურ ვადებში, მაღალხარისხოვნად და ორგანიზებულად დავამთავროთ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა, მაღალ ღონეზე მოვაყენოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ღირსეული საჩუქრები მივუძღვნათ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას.

საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პლენუმი

ახალქალაქი. (საკ. კორ.). გუშინ გაიმართა საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ბ. დ. ვერიძეშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

«საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ს. ა. პეტროსიანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ი. კუჭავამ.

სოფლის სახელი

ყველა სოფელშია ხალხის თავშესაყარი ადგილი, სადაც თავისუფალ დროს გაჩაღდება ხოლმე სკა-ბაასი სოფლისა და ქვეყნის ამბებზე. აგიტატორი უყეთეს აუდიტორიას ვერ ინატრებს. კოლმეურნეები დიდი გულისყურით უსმენენ საუბარს, იძლევიან შეკითხვებს.

სოფელ ჭოპორტში, არაგვის მარცხენა მხარეს რომ არის შეფენილი, ასეთი სასაუბრო ადგილი ზედ სასოფლო საბჭოს შენობის წინ აურჩეიათ. აქვეა ფოსტა, კოლმეურნეობის კანმგეობა, კლუბი, სამკითხველო. გარშემო ქვით მოჩრეშილი მოედანია, სადაც ვერცერთ ხეს ვერ იპოვნით. რამდენჯერაც ავტომანქანა გაივლის, იმდენჯერ მტვრის ღრუბლები დადგება ხოლმე. თვითონ სოფელი მწვანეშია ჩაფლული.

ორიოდე კვირის წინათ ამ მოედანზე ასეთი საუბარი მოვისმინე. ხანშიშესულა კაცი, რომელსაც ხელში კარგა მოზრდილი ჯოხი ეჭირა, თავის გვერდით მჯდომ ახალგაზრდას ეუბნებოდა:

— რაგომ აიყარე გული სოფელზე, შენი წინაპრებიც აქ ცხოვრობდნენ და შენი შვობლებიც...

— არ მინდა აქ ცხოვრება და...

— მეც იმას გეკითხები, რატომ არ გინდა?

— კაცო, გზა ჩვენ არ გვიარგა და კლუბი, ბირის გასაპარსად რაიონში წასვლაა საჭირო. ამანო რა არის, ისიც კი არა გვაქვს. ასე ცხოვრება არ შეიძლება.

— ყველაფერი, რაც შენ ჩამოთვალე, ჩვენი საქმეა. ხომ გაგიგია, სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია. თუ ერთად ვიმოქმედებთ. ყველაფერი გამოსწორდება, — ამბობდა ხანშიშესული.

— არ ვიცი, რითი დამთავრდა მათი საუბარი, მოედანზე მძიმე საბარგო ავტომანქანამ გაიარა და მტვრის კორიანტელი დაიყენა, იძულებული გავხდი სასოფლო საბჭოში შევსულიყავი.

...ჭოპორტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ტრიბატან საძაგლიშვილი დუშეთის რაიონში ყველაზე ახალგაზრდა თავმჯდომარეა ასაკით და სტაჟით. დიდი ხანი არ არის, რაც თავმჯდომარედ აირჩიეს და უკვე თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა მუშაკმა.

მან კარგად იცის საბჭოში შემავალი ყველა სოფლის ავი და კარგი, იცის, რა უჭირს და რა ულხინს მათ, იცის, რომ მოსახლეობის ინიციატივა და მონდომება დიდი ძალაა, ამავე დროს საჭიროა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებაც. სოფლების კეთილმოწყობაში დიდია დეპუტატებისა და აქტივის როლიც.

ხმა ერისო, ნათქვამია. სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში მშრომელთა მობილიზაციისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია სოფლის ყრილობას. დღე თვითონ ხალხმა იმსჯელოს კარგზე და ავზე, თვითონ იპოვნოს ნაკლოვანებათა გამოსწორების საშუალებანი, — ფიქრობდა ახალგაზრდა თავმჯდომარე და თავის ნაფიქრალს დეპუტატებს უზიარებდა.

გადაწყდა მოეწვიოთ სოფლის ყრილობა, მოხსენების მომზადება საბჭოს თავმჯდომარეს დაევალა. მისი თანაშემწენი იყვნენ დეპუტატები და აქტივისტები, რომლებმაც წინასწარ შეამოწმეს დღის წესრიგში დასმული საკითხი, შეაგროვეს მრავალი დადებითი და უარყოფითი-ფაქტი და ყველაფერი ეს მომხსენებელს გადასცეს.

იმ დღეს სოფლის ცენტრში დიდი გამოცოცხლება იყო, ყრილობაზე მოვიდნენ ჭოპორტელები, ბულაჩაურელები, ახატნელები, აქ იყვნენ აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები და რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, იყვნენ თბილისელი სტუმრები. ხალხით გაჭედილ დარბაზში ნაცნობი ჯობიანი კაცი და ის ახალგაზრდა შევნიშნე, რამდენიმე დღის წინათ სოფლიდან წასვლას რომ აპირებდა.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ტ. საძაგლიშვილს. დარბაზში მყოფნი ყურადღებით უსმენდნენ მას. მე კი ფიქრობდი ჩვენი ქვეყნის ამ რიგითი სოფლის საინტერესო ისტორიაზე. ოცდაათი წლის წინათ აქ ყველაზე შესაბრალისი ნაგებობა ეკლესია იყო. ახლა ჭოპორტს ვეღარ იცნობთ. მას ამშვენებს საშუალო სკოლის ახალი შენობა, კოლმეურნეთა ახალი სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობანი. ჭოპორტზე გადის ჩვენი რესპუბლიკის სამი მაცოცხლებელი სისხლძარღვი — ორკონიკიძე-თბილისის გაზსადენის მაგისტრალური ხაზი, ბულაჩაურის წყალსადენი და საგურამოს სარწყავი არხი, სოფელში დღეში ორჯერ მოდის ავტობუსი „თბილისი-ჭოპორტი“.

მაგრამ მარტო ამით როდი ამაყობს ჭოპორტი.

მითქმის ყველა ოჯახში დგას ტელევიზორი, მუშაობს რადიომიმღები, სახლები გაჩირაღდნებულია ელჩის ნათურებით, მინდვრები დაქსელილია სარწყავი არხებით. საბჭოში შემავალ ყველა სოფელში არის კლუბი, სამკითხველო.

მაგრამ სოფლების საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

აი რა თქვა ამის შესახებ მომხსენებელმა:

— კარგი გზები საკოლმეურნეო სოფლის სიამაყეა. ჩვენი დეპუტატები და კოლმეურნეობა ზრუნავენ გზებისათვის. მაგალითად, გასწორდა და მოიხრეშა სოფელ ბიწმენდიდან ახატნამდე მიმავალი გზა. შეკეთდა ჭოპორტში მისასვლელი გზა, მაგრამ ,,არა გვაქვს იმის საშუალება, რომ მთლიანად აღვადგინოთ საგურამოს სარწყავი არხის შენებელთა მიერ დანგრეული გზა. სამგორწყალმშენის № 1 სამშენებლო სამართველოს შეეგახლენეთ, რომ მათ მიერ მასალების შემოზიდვისას დაინგრა გზა და საჭიროა მისი აღდგენა. გავიდა დრო, ამხანაგებმა პასუხის გაცემაც კი არ იკადრეს. მივწერეთ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ პასუხი არც ახლა არის. საჭიროა ამ საქმეში რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარება.

ჭოპორტში გვქონდა კარგი მაღაზია. გაზგაყვანილობასთან დაკავშირებით მაღაზია დაინგრა. იმავე დროს დაიწყეს მაღაზიის ახალი შენობის აგება, მაგრამ დღემდის ვერ იქნა და ვერ დამთავრდა.

სოფელში იყო ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო. კომბინატის დირექცია მარტო გეგმის შესრულებას თხოულობს. გეგმა კი ჩვენთან არ შესრულდა და ამიტომ სახელოსნო დახურეს, ან კი როგორ შესრულდებოდა გეგმა, როცა სახელოსნოს საჭირო მასალები არა ჰქონდა?

სასარეკლამახელოსნოსთვის შენობა არ გაგვაჩნია. ვთხოვეთ რაისამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას ჩვენთვის გადმოეცა ხის შენობა, რომელიც ახალ მაღაზიასთან დგას, მაგრამ უარი გვითხრა, შენობა კი ახლაც ცარიელია.

ჩვენს საბჭოში 730 კომლია. კარგი იქნებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს გაეთვალისწინებინა ერთი ამბანოს ბანმენი, მით უმეტეს, რომ უკვე აშენებული გვაქვს კედლები. მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ პურის საცხობი ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ყოველთვის უნდა ეზრუნავდეთ სოფლების გალამაზება-გამშვენიერებისათვის. ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი. სოფელში ბევრი ეზო ეკალბარდით არის ნაგსე. ეზოებში უწესრიგობაა, ზოგან სიბინძურეცაა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ეზო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს.

მაღლობის ღირსია დეპუტატი იოსებ გოგოლაური, რომლის თაოსნობით ჭოპორტში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი. სოფელ ბულაჩაურს წყალი ახლაც აკლია, მაგრამ ეს საქმე თანდათან გვარდება, უკვე შემოზიდულია მილები, გათხრილია არხი, შვიდი ნოემბრისათვის მოსახლეობა მიიღებს წყალს.

დაიწყო კამათი. პირველმა სიტყვა აიღო საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ დეპუტატმა ეფემია ლაფანანოვნემ. მისი სიტყვიდან შემდეგის ჩაწერა მოვასწარი:—ჩვენს სკოლას წყალი არა აქვს, სკოლაში მისასვლელი გზა დანგრეულია, სოფელზე გადის გაზის მაგისტრალური ხაზი, სოფელს კი გაზი არა აქვს, აუცილებელია მოვაწყოთ სკოლის ცენტრალური გათბობა, რამდენიმე წლის წინათ დაიწყო მასწავლებელთა სახლის აგება, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს, რაც აშენდა, ისიც ინგრევა, სოფლისათვის აუცილებელია კბილის ექიმი.

მოკლე სიტყვა თქვა სოფელ ახატნის წარმომადგენელმა კოლმეურნეობის ბრიგადირმა კოტე ხეოშვილმა: — გზა შეკეთეთ, მაგრამ საჭიროა მისი მოსწორება გრეიდერით. ახატნელები მოითხოვენ დაწესდეს საავტობუსო მიმოსვლა „ახატანი — თბილისი“.

თაბისი სოფლის ავადმყოფი ილაპარაკა დეპუტატმა იასონ აფციაურმა: — ბულაჩაურში წყალსადენი მარტო უნდა გახსნილიყო, მაგრამ ჯერაც არ არის, ჩვენს სოფელში გაკაყავთ სარწყავი არხი, მიუხედავად ამისა, მეტი წილი ჩვენი ფართობებისა მოურწყავი დარჩება. მოსახერხებელია გზა, ბულაჩაურის კლუბის ჭერი ლამის არის ჩამოინგრეს, იქ ისე წვიმს, როგორც გარეთ...

ტრიბუნაზეა ბულაჩაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ოთარ ლომსაძე: — ძნელი ასაწერია ჩვენი სკოლის გაჭირვება, სოფლიდან რაღაც რვასი მეტრით ვართ დაშორებული და არა გვაქვს შუქი და წყალი, იძულებული ვართ სასკოლო ნაკვეთზე მიღებული შემოსავალი წყალსადენის გაკეთებას მოვახმაროთ. ბულაჩაურის კლუბი საწყობად აქციეს, იშვიათად გვიჩვენებენ კინოსურათებს, უწინ სოფელს საკენიმო პუნქტი ჰქონდა. ახლა ეს პუნქტი აბანოსხეზეზე, ჩვენგან დაშორებით გადაატანეს.

არანაკლებ გაჭირვებაშია აბანოსხევის რვაწლიანი სკოლა. ამის შესახებ ილაპარაკა სკოლის დირექტორმა ტარიელ ვიკაიძემ. — დღის ხუთი საათის შემდეგ საფოსტო განყოფილება იკეტება და ტელეფონით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. განა არ შეიძლება ამის მოწესრიგება?

— რატომაც არ შეიძლება! — წამოიძახა კავშირგაბმულობის დუშეთის რაიკანტორის უფროსმა ავთანდილ ბრაუშვამ. — ამას ამ დღეებშივე მოვაწესრიგებთ.

ტარიელ ჭიკაიძე კი განაგრძობდა: — ჩვენი სკოლის ერთი ოთახი დაკავებული აქვს მილიციას. ბევრჯერ მოვთხოვეთ, მაგრამ ოთახი მაინც არ დაგვიცალეს. ბულაჩაურის წყალსადენის სახლებში მცხოვრებნი არ უფრთხილდებიან, არ უვლიან ბინებს, გაბინძურებულია ეზოები.

სიტყვა ითხოვა მოხუცმა კოლმეურნემ ბოგი სანაკაბლიშვილმა. — ყველამ იცით ის პატარა უბანი, სადაც მე ვცხოვრობ. პატარა კია, მაგრამ წყალი იქაც არის საჭირო. ძალიან გთხოვთ გვიიყვანოთ წყალსადენი ჩვენს უბანში.

კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ვასილ კიკნაძანაშვილმა გულისტკივილი აღნიშნა, რომ ჭოპორტში წიხქვილი არ მუშაობს, კოლმეურნეებს საფქვავი მიაქვთ შორს — ბულაჩაურში ან ახატანში.

— ჭოპორტის პურის საცხობი ცეკავშირმა დააპროექტა ორი წლის წინათ, მაგრამ შედეგი არა ჩანს, — თქვა ვაჭრობის მუშაკმა ეკატერინე იოსებაძემ. სოფლის უნივერმაღის აგება ორი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ამაოდ. სოფლის მაღაზია დღემდე კერძო ბინაშია, სინესტის გამო ფქვილი გაფუქდა.

ხმა ადგილიდან: — გზები რომ დაინგრა, რატომ არაფერს ამბობთ?

ძველი ბოლშევიკი იოსებ საძაგლიშვილი ხშირად მოდის ხოლმე მშობლიურ ჭოპორტში. მართალია, იგი აქ მუდმივად არ ცხოვრობს, მაგრამ მაინც აინტერესებს სოფლის წინსვლისა და კეთილმოწყობის საქმე, ახლაც გულმა არ მოუთმინა და თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობას. საწყენია, რომ ხამმა დიდმა სამშენებლო ორგანიზაციამ (გაზშენი, წყალსადენი, არხის მშენებლობა), რომლებსაც დიდძალი ტექნიკა აქვთ, გაეკეთებინ მაგივრად სოფელს გზა დაუნგრიეს. აუცილებელია თვითონ გამოვიჩინოთ ინიციატივა. განა რა გახდა საპარიკმახეროს გახსნა, ანდა წიხქვილის მოწყობა. ამის გაკეთება ხომ თვითონ სოფელს, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატებს შეუძლიათ. ნახევარი საუკუნის წინათ ჭოპორტში საპარიკმახეროც იყო და წიხქვილიც, ახლა რამდენად ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია.

სიტყვას ამბობს დეპუტატი იოსებ გოგოლაური: — მრავალჯერ დავსწრებივარ ენინალის სოფლის კოოპერატივის მეპაიეთა კრებას, რომლის დადგენილებაში ყოველთვის შეაქვთ ჭოპორტში ფურნის აგების საკითხი, მაგრამ შედეგი არა ჩანს. სირცხვილია, რომ ბევრი ჩვენგანი პირის გასაპარსად დუშეთში მიდის. საჭიროა აქვე გვქონდეს კინოსტაციონარი. მართალია, სოფელში მრავალი ლამაზი საცხოვრებელი სახლი შენდება, მაგრამ ყურადღება არ ექცევა მათს დაგეგმვას. სოფელს უნდა ჰქონდეს განაშენების გენერალური გეგმა. განა დასაშვებია, რომ არა გვაქვს საბავშვო ბაღი და ბაგა, არა გვაქვს ამბონ. საჭიროა დაწესდეს საავტობუსო მარშრუტი „დუშეთი-ჭოპორტი“. ჭოპორტიდან ძალზე დაშორებით არის განლაგებული ზოოვეტუბანი.

პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი ზ. დუდაური: — ხვალვე აქ გადმოვტანთ, თუ ბინას იშოვნით.

ი. გოგოლაური: — უნდა ვიშოვნოთ.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ალ. ჩიტელი, დუშეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ნ. ბაუბარული, კავშირგაბმულობის რაიკანტორის უფროსი ა. ბრაუშელი, საგზაო საფაოფლების გამგე ბ. გოგოშვილი და სხვები, რომლებმაც დამსწრეთ დახმარება აღუთქვეს საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში.

ყრილობამ დადგენილება მიიღო.

ერთ საათ შემდეგ ათიოდე დღე გავიდა. მშრომელთა ბევრი სურვილი უკვე ხორციელდება. ჭოპორტს მალე ექნება სტაციონარული კინოდანადგარი, დაწესდა საავტობუსო მიმოსვლა რაიონულ ცენტრში. გამოინასახა აბანოსათვის შენობა, რომელიც წყალსადენის უბანში უმოქმედოდ იყო მიტოვებული, მიღებულია ზომები ბულაჩაურში წყალსადენის მშენებლობის დასაჩქარებლად, მალე გაიხსნება საპარიკმახერო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო.

...სოფლის მოედანზე კვლავ შევხვდი ახალგაზრდას, რომელიც ადრე სოფლიდან წასვლას ლამობდა, ,,ამოვლაპარაკე და დავრწმუნდი, რომ იგი მშობლიურ ჭოპორტს არასოდეს არ მიატოვებს.

ასე მაღლდება სოფლის სახელი.

ა. თოფაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კომუნისტი
№ 2. გვერდი, ხუთშაბათი,
28 ოქტომბერი, 1965 წ.

მრეწველობის ფინანსები და ახალი ამოცანები

ცკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა პლენუმმა გადაწყვეტილებანი ერთდროულად მიმართულია როგორც მრეწველობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ დარგობრივი პრინციპის საფუძველზე, ისე კომუნისტური მშენებლობაში სასაქონლოფულადი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებითი ეკონომიური კატეგორიების მთლიანად გამოყენებისაკენ, იმ ახალი შინაარსის შესაბამისად, რომელიც მათ აქვთ სოციალიზმის დროს.

პირველ პლანზე დგება ეკონომიკის განვითარების ისეთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტების მოქმედების გაძლიერება, როგორიც არის სამეურნეო ანგარიში, მოგება, ფასი, პრემია, კრედიტი და ფინანსები.

მრეწველობის ფინანსების როლი და ამოცანები, იმასთან დაკავშირებით, რომ სამრეწველო საწარმოს საქმიანობის შედეგები შეფასდება არა საერთო პროდუქციის, არამედ რეალიზებული პროდუქციით მიღებული მოგებისა (წარმოების რენტაბელობის) და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიწოდების დავალებათა შესრულების მიხედვით, მნიშვნელოვნად იზრდება. ეს მაჩვენებელი შესაძლებლობას მისცემს საწარმოებს ერთი მხრივ მჭიდროდ დაუკავშირონ ეროვნული ეკონომიის წარმოება და მოხმარება, მეორე მხრივ კი განსაზღვრონ საწარმოების ეკონომიური ეფექტიანობა. უეჭველია, რომ ამის შესაბამისად არსებითად შეიცვლება საფინანსო დაგეგმვის ფორმები და მეთოდები, თვით საფინანსო-კალკულაციური მუშაობა შინაარსი როგორც საწარმოებსა და გაერთიანებებში, ისე სამინისტროებში.

